გადარჩენილი მატჩი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 5 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) – „არარატი“ (ერევანი) 1:1 (0:1).

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, ნოდია, მესხი.

„არარატი“: რ. აბრამიანი, სეროპიანი, ფ. აბრამიანი, სემერჯიანი, ოვსეპიანი, კოვალენკო, იუმაკოლოვი, ვიუნი, ატამალიანი, ეგიაზარიანი, კაზარიანი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნისი).

მოწინააღმდეგეებმა მატჩის დასაწყისში რატომღაც ნელი ტემპით თამაში აირჩიეს, თუმცა, ეს არც ერთი მათგანის ხასიათში არაა. ბურთის გათამაშებას მინდვრის შუაგულში ბევრი დრო მიჰქონდა და გადამწყვეტი იერიშის მომენტისთვის ორივე გუნდის ფორვარდები, როგორც წესი, მჭიდროდ იყვნენ აყვანილი მცველთა მიერ.

ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა თბილისელებს მიეცათ მე–6 წუთზე, როცა ბარქაიას მოწოდებულ კუთხურს ვერ მისწვდნენ, მეკარე აბრამიანი და მცველი სემერჯიანი. ნოდიამ სულ მცირე დაგვიანებით მიუსწრო ბურთს და ოდნავ, რამდენიმე სანტიმეტრით ააცილა დარტყმა მიზანს.

წუთის შემდეგ საპასუხო იერიშზე იმყოფებოდნენ ერევნელები, რომლებმაც კარის უშუალო სიახლოვეს გაითამაშეს კომბინაცია: ატამალიანი – იუმაკულოვი. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმის მოგერიება ნახტომში შეძლო კოტრიკაძემ.

არარატელებმა თანდათან უმატეს ტემპს. შესანიშნავი იყო მათი უპირატესობა სისწრაფეში, რამაც გუნდის ნახევარდაცვას საშუალება მისცა ინიციატივა აეღო მინდვრის შუაგულში და საჭიროების შემთხვევაში აქტიურად ჩაბმულიყო იერიშში. სწორედ ასეთი მანევრის შედეგად იქნა გატანილი გოლი: მე–18 წუთზე შეტევაში ჩაერთო ნახევარმცველი კოვალენკო, რომელმაც საჯარიმო მოედნის გარედან დაარტყა კარში. მეკარე კოტრიკაძეს, ეტყობა, თავისივე მოთამაშეები ეფარებოდნენ წინ, ამიტომ მან დააგვიანა და ვეღარ მიუსწრო ბურთს – 1:0.

„არარატი“ ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებდა უპირატესობას. განსაკუთრებით უჭირდა თბილისელთა დაცვას ატამალიანის წინააღმდეგ თამაში, რომელიც კარგად ირჩევდა ადგილს და დაუღალავად მოძრაობდა ვრცელ ტერიტორიაზე.

ოდნავ უკეთესად ითამაშეს დინამოელებმა მეორე ტაიმში. მესხი, რომელსაც თითქმის არაფერი გაუკეთებია შესვენებამდე, რამდენიმეჯერ გავიდა თავის ფლანგზე, მაგრამ მის მოწოდებულ ბურთებს ადვილად ეუფლებოდა მეკარე აბრამიანი. მე–20 წუთზე უძლიერესი დარტყმით კარში გაგზავნა ბურთი კუტივაძემ და აბრამიანმა შეძლო გადაერჩინა გუნდი აშკარა ხიფათს.

საპასუხო გოლი გატანილ იქნა მხოლოდ 73–ე წუთზე. მესხმა მიიღო ბურთი ნოდიასაგან და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში – 1:1. ფრე – ეს იყო თბილისელთა მაქსიმუმი „არარატის“ წინააღმდეგ მატჩში.

აღსანიშნავია, რომ ხულიგნური საქციელისათვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა რ. იუმაკულოვი.

ჯ. ვაჩიბერიძე
“ლელო” 7. III.67 წ.